გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

გერმანიის საელჩო, თელავის 20, 0103 თბილისი

მისამართი:
სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი

თელავის ქ. 20
0103 თბილისი

INTERNET: www.tiflis.diplo.de

TEL + 995-32-244 73 00
FAX + 995-32-244 73 64

შემსრულებელი:
თეა ვარდოსანიძე

ku-100@tifl.diplo.de

ეხება: **გერმანიის ბუნდესტაგის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიას (IPS)**

აქ: **განაცხადების მიღება 2014 წლის პროგრამაში მონაწილეობისათვის / განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 30 ივნისი**

საქმის №:

თბილისი, 2013 წ. 29 მაისი

ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

გერმანიის ბუნდესტაგი ბერლინის სამ უნივერსიტეტთან ერთად საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის პროგრამის (IPS) ფარგლებში პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს მსოფლიოს 28 ქვეყნიდან აძლევს იშვიათ შესაძლებლობას, ბერლინში რამდენიმე თვიანი პრაქტიკის ფარგლებში უშუალოდ გაეცნონ გერმანიის საპარლამენტო მმართველობის სისტემას. დღემდე ამ პროგრამაში 2000 მეტმა სტიპენდიატმა მიიღო მონაწილეობა, აქენდან 37 ახალგაზრდამ საქართველოდან.

პროგრამის ფარგლებში გერმანიის ბუნდესტაგი გაიღებს მგზავრობის, ბინის, დაზღვევისა და ყოველთვიური სტიპენდიის ხარჯებს. პროგრამის მიზანია სტიპენდიატებისათვის თვალსაჩინო გახადოს პოლიტიკური ცხოვრება და დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. აღნიშნული სტიპენდია ბრწყინვალე შესაძლებლობაა დამატებითი

კვალიფიკაციის მიღებისათვის და იგი სამშობლოში დაბრუნებული სტიპენდიატების კარიერის შანსებს მნიშვნელოვნად ზრდის.

გასული წლების მსგავსად 2014 წლისთვისაც საქართველოსთვის გათვალისწინებულია მინიმუმ ხუთი სტიპენდია.
დაინტერესებულმა პირებმა საბუთები უნდა შემოიტანონ ელექტრონულად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოში 2013 წლის 30 ივნისამდე.

აღნიშნული პროგრამის რეკლამირების მიზნით, გთხოვთ ეს ინფორმაცია გააცნოთ უნივერსიტეტის იმ სტუდენტებს, რომლებიც ძალიან კარგად ფლობენ გერმანულ ენას.
დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ:

http://www.tiflis.diplo.de/Vertretung/tiflis/ka/06/Stipendien/S__Aktuelle__Stipendien.html

პატივისცემით

გერმანიის საელჩო
კულტურის განყოფილება